საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 258 (20294) — ხუთშაბათი, 3 ნოემბერი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი სახელმწიფოებრივ დისციპლინის მკაცრად დაცვისათვის საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის გაძლიერების ამოცანების შესახებ. აღინიშნა, რომ გაერთიანებაში ნელა ინერგება საწარმოს მართვაში შრომითი კოლექტივის მონაწილეობის გაფართოების, ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდების გაძლიერების დემოკრატიული პრინციპები. ეს უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების სამოელო შედეგებზე და იწვევს, კერძოდ, მეცირე სიმძლავრის ელექტროძრავების მომიჯავე საწარმოებისათვის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების ჩაშლას.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო შეკვეთების უზრუნველყოფისათვის „საქელექტრომანქანის“ ხელმძღვანელობის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნო და მკაცრად გააფრთხილა გაერთიანების გენერალური დირექტორი, სკკპ წევრი ბ. ბუგაანიშვილი. გაერთიანების ხელმძღვანელობასა და პარტიულ ბიუროს (მდივანი — მ. სულაცა) დაევალათ, განახორციელონ შექმნილი ვითარების გამოსწორება, მრავალი ეკონომიკური მეთოდების დანერგვის ყოველმხრივი დაჩქარების, დიდნაყოფიერი შრომის ხელშეწყობა შესაძლებლობათა შექმნის გადაულებელი ღონისძიებანი და უზრუნველყონ 1988 წლის ხელშეკრულებების შესაბამისად სრული მოცულობითა და ნომენკლატურით ელექტრომანქანების მიწოდების ვალდებულებათა შესრულება. დაისახა აგრეთვე ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია გაერთიანებაში შეიქმნას დამატებითი სიმძლავრეები საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტროძრავების გამოშვებისათვის.

განიხილა რა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ საწარმოებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო ყოფის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე, ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ყურადღება მიაპყრო იმის, რომ საჭიროა აღმოფხვრან ნაელოვანებანი და ჩამორჩენა აღინიშნული დადგენილებით გათვალისწინებული პროგრამის რეალიზაციაში. აღინიშნა აგრეთვე, რომ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ჯეროვან კონტროლს არ უწევს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობას.

პარტიის სოოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ გააძლიერონ კონტროლი და გაზარდონ ადგილობრივი საბჭოთა ბერეგინების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების კომუნისტურ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საწარმოო ყოფის გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის ამ საკითხის განსაკუთრებული პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის გათვალისწინებით. იზრდება პროფკავშირულ ორგანიზაციათა პასუხისმგებლობა ამ უბანზე საქმის ვითარებისათვის.

განიხილა რა საკითხი, თუ როგორ სრულდება სახალხო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში სერიოზულ ნაკლოვანებათა თაობაზე ზემდგომი ორგანოების დადგენილების მოთხოვნები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს მოსთხოვა ძირეულად შეცვალონ დამოკიდებულება სახანძრო უსაფრთხოების საკითხებისადმი, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების, აგრეთვე სახალხო მეურნეობის ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის უზრუნველყოფა. მიიჩნიონ დამანახა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოს დაცვისათვის, სოციალისტური საკუთრების საიმედო დაცვა-შენახვისათვის მუშაობის, მაღალი ორგანიზებულობის, დისციპლინისა და წარმოების ეფექტიანობისათვის ბრძოლის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად. მათ დაეფალათ განიხილონ სახალხო მეურნეობის ობიექტების, საცხოვრებელი სექტორის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მდგომარეობა და მიიღონ ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური შეშობის გაუმჯობესების ზომები, რომელთა მიზანია ხანძართან ბრძოლის გაძლიერება, კომუნისტების, საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის გაძლიერება სახანძრო უსაფრთხოების წესების განუხრელი დაცვისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ მოიწონა რესპუბლიკის სახაგრომრეწვის, ცოტნის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სამრეწველო ბანკის, საქართველოს სსრ მინისტრთა სახაბჭოს ალსებული მთავარი საარქივო სამმართველოს სისტემათა მართვის ეგენერალური სქემების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა პროექტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის სახოგადოებრივ-პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო ცხოვრების ზოგიერთ სხვა საკითხებზე.

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებზე დაისახა ამოცანა, დაავსტურებინთ ახალი ეკონომიკური მექანიზმის ფორმირება, სამეურნეო ფორმის პრინციპები დაენერგინთ ეროვნული სხვისი მოიმედოობა და ეფექტიანობა.

31 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ნ. ნ. სლიუნკოვმა** აღნიშნა, რომ პარტიამ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმსა და XXVII ყრილობაზე დაგვისახა ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა — დაეძლიოთ ნეგატიური ტენდენციები და უზრუნველყოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება.

თათბირზე მოხსენებები გააკეთეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ს. ა. სიტარიანმა** და სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. ი. გლადეკმ.** მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საკირო საწარმოებში სამეურნეოანგარიშებრივი ურთიერთობის გაღრმავება, კოოპერატიული და საარენდო იჯარის მეთოდების ფართო გამოყენება. დიდი ყურადღება დაეთმო პრობლემებს, რომლებიც აფერხებენ სამეურნეო ანგარიშის გაღრმავებას. მათ შორის აღინიშნა, რომ საჭიროა სრულყოთ დაგეგმვა, დავაჩქაროთ წარმოების სამუალებებით სარგებლობა, გავაძლიეროთ მატერიალურ-ფინანსური შეწონასწორება სახალხო მეურნეობაში, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ საწარმოთა სრული სამეურნეო ანგარიშის მეორე ფორმა.

კამათში მონაწილეობდნენ სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი **ვ. თ. ნოვიკოვი**, „ატომმანქანის“ (როსტოვი, ოლქი) საამქროს უფროსი **ვ. ნ. კუზნეცოვი**, ბიმეის ავტომატრანსპორტო საწარმოს (მოსკოვის ოლქი) მძღოლი **ს. ნ. სისოევი**, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე **გ. ა. ეგიაზარიანი**, სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის მდივანი **ვ. ა. ვორონკო**, „ოდესმაიეორმანქანის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დირექტორი **გ. ს. ანტონენკო**, ბელორუსიის სოციალისტური რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მინისტრი **ნ. ტ. ბულავი**, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი სამინისტროს მთავარი ეკონომიკური სამმართველოს უფროსი **ნ. ა. მედვედევი**, ბუტოვსკის საშენ მასალათა კომბინატის (მოსკოვის ოლქი) დირექტორი **მ. ა. ბოჩაროვი**, ლენინგრადის სვეტლოვოს სახელობის დაცვეთილ სახელობის ჩარსსაშენებელი საწარმოო გაერთიანების პარტკომის მდივანი **ა. ნ. ბუსე

დღევანდელობის მხარდამხარ

— ამ ხნისა მოგეყოლა, კონფერენციისა და პლენუმებისაც ბევრჯერ დავსწრებივარ, მაგრამ ასეთი რამ აქამდე ნამდვილად არ მინახავს. როგორ შეიცვალა დრო და ვითარება, აზროვნება და საქმისადმი მიდგომა. ყოველი ჩვენგანი დღეს მართლაც პრაქტიკულად გრძნობს ახალი აზროვნების სიცოცხლე, — მითხრა ცნობილმა ფლეთელმა მეცხვარემ, სოციალისტური შრომის გმირმა, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურმა პენსიონერმა ყარაბან ბაკაევმ პარტიის დუშეთის ახალდარჩეული უმაღლესი პირველი პლენუმის შემდეგ.

ეს პლენუმი მართლაც დიდხანს არ დაივიწყება მის მონაწილეთ. იგი სწორედ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის ნებით წარიმართა. რაიკომის მდივნების პოტაზე პლენუმის მონაწილეებმა ორ-ორი კანდიდატური დაასახელეს. ფარული კენჭისყრით მოწყობილ არჩევნებში კი სრულიად ობიექტურად უპირატესობა მიანიჭეს მათ, ვისაც მეტი ორგანიზაციორული მუშაობის გამოცდილება აქვს.

პარტიის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად კვლავ დაასახელეს ნუგზარ ოდიშვილი და დუშეთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ავთანდილ თეთრუაშვილი.

— გულმა კინაღამ რეჩხი მიყო, გვითხრა პლენუმის შემდეგ ყოფლარის საკვებმოპოვების გაერთიანების თავმჯდომარემ ფილიპე ფაცეიურმა. — ნუგზარ ოდიშვილი სამ წელზე მეტია, რაც სათავეში უდგას რაიონის პარტიულ ორგანიზაციას. იგი გამოცდილი და მოაზროვნე პარტიული მუშაკია. რაიონის კომუნისტებმა დიდი ნდობით მიიღეს — მის შესახებ ხომ ბევრი კარგი რამ ვიცოდით, როგორც პარტიის ლენინგრადის რაიკომის პირველ მდივნად მუშობდა. ახალ პოსტზე საქმეს კვლავ გულმოდგინედ მოკიდა ხელი. მისი თაოსნობით ბევრ მნიშვნელოვან წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი, ბოლო ელება ნეგატიურ მოვლენებს, გაიზარდა ეკონომიკის ძირითადი დარგის — სოფლის მეურნეობის უკუგება.

ავთანდილ თეთრუაშვილი კი, განაგრძობს ფ. ფაცეიური, ჩვენს რაიონში ჩამოყალიბდა როგორც სპეციალისტი, საბჭოთა ხელმძღანელი. გეგრელიანობთა და ენეგეთი რაიონის მშრომელთა ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. მთელ ძალებს აშარის რაიონის სოციალური სფეროს განვითარებასა და მთის სოფლების აღორძინებას. ორივე შესაფერისი კანდიდატურაა, ძნელია ამ დროს რომელიმეს უპირატესობა მიანიჭო, მაგრამ ნუგზარ ოდიშვილს მაინც მეტი გამოცდილება აქვს. ამიტომ არჩევანი მასზე შევაჩერე...

თითქმის ყველი დელეგატმა ეს თქვა, ვისაც ამ თემაზე ვესაუბრეს. ხმის აბსოლუტური უმრავლესობით პირველ მდივნად და ბიუროს წევრად კვლავ ნ. ოდიშვილი აირჩიეს.

ოქტომბრის ეროვნული ფერფლ

ეროვნული ფერფლ

ეროვნული ფერ

ეროვნ

ეროვ

ეროვ

**ეროვ

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა

ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობა, შემდგომი განვითარება, საყოველთაოდ დანერგვა, მეცნიერული შესწავლა და სწავლება

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივითა და მითითებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირმა, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმმა მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეთა მონაწილეობით შეიმუშავეს **ქართული ენის შემდგომი განვითარების სახელმწიფო პროგრამის პროექტი**, რომელიც მიზნად ისახავს ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობას, შემდგომ განვითარებას, საყოველთაოდ დანერგვას, მეცნიერულ შესწავლასა და სწავლებას.

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის მიზანია შესწავლისა და განხილვის საგნად აქციოს და გადაწყვიტოს ის საკითხები, რომლებიც შეეხებიან ქართული ენის კონსტიტუციური უფლებების განმტკიცებასა და დამკვიდრებას, ქართული ენის მეცნიერული კვლევის გაღრმავებას, ქართული ენის სათანადო დონეზე სწავლებას საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის საზოგადოებრიობა განიხილავს და გამოთქვამს თავის მოსაზრებებს აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდება. მისი განხორციელება სრულად უზრუნველყოფს ქართულის, როგორც საქართველოს სსრ სახელმწიფო ენის, კონსტიტუციურ ფუნქციონირებას ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში.

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზაციისა და კოორდინაციის ფუნქცია ეკისრებათ რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმსა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობას

საკითხი	შემსრულებელი	შესრულების ვადა	კონტროლი
I. ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი			
1. ქართულის, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო ენის, ფუნქციონირება პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, კულტურულ და სამეურნეო დაწესებულებებსა და ყველა სახის საწარმოში.	შესაბამისი ორგანიზაციებისა და უწყებების ხელმძღვანელები	სისტემატურად	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისიის დაქვემდებარებაში საინსპექციო საბჭოს შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით — კონტროლი გაუწიოს სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვას და შეიმუშაოს ქმედითი ღონისძიებანი სალიტერატურო ენის ნორმათა დასამკვიდრებლად	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო	1988 წ.	საქართველოს სსრ. მინისტრთა საბჭო
3. რესპუბლიკაში მცხოვრები არაქართული ეროვნების მოქალაქეთათვის ქართული ენის დასაუფლებლად ყველა დაწესებულებასა და საწარმოში ხელშეწყობი პირობების შექმნა	შესაბამის დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები	სისტემატურად	სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოები
4. ქართულ ენაზე ყველა დარგის სამეცნიერო ლიტერატურის შესაქმნელად და გამოსაცემად ხელშეწყობი პირობების შექმნა	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ გამსახკომი	სისტემატურად	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო კოლეგია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
II. ქართული ენის მეცნიერული შესწავლა			
1. ქართული ენის სოციოლინგვისტური ასპექტით შესწავლა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისის სახ. უნივერსიტეტი.	1988-2000 წწ.	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
2. ქართული ენის აკადემიური კურსის დამუშავება (მრავალტომეული)	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი	1988-2000 წწ.	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
3. სამეცნიერო-ტერმინოლოგიური ლექსიკონების მომზადება:			
ა) მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	1988-90 წწ.	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
ბ) ეკონომიკური ტერმინების ლექსიკონი		1990-92 წწ.	
4. ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონის მომზადება	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	1988-92 წწ.	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, სახალხო განათლების სამინისტრო
5. ენციკლოპედიური ცნობარის „ქართული ენა“ მომზადება	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია	1988-95 წწ.	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
6. დიალექტოლოგიური ლექსიკონების მომზადება.			
ა) ხევსურული	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	1988-90 წწ.	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
ბ) ფშაური		1990-92 წწ.	
გ) გურული		1988-92 წწ.	
დ) ინგილოური		1988-89 წწ.	
7. სამეცნიერო ნაშრომებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენისა და სტილის შესწავლა; შესწავლის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების განხილვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ მუდმივმოქმედ კომისიაში მათი საყოველთაოდ დანერგვის მიზნით.	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	სისტემატურად	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
8. სამეცნიერო სამუშაოთა კოორდინაციის, ინფორმაციის გაცვლისა და დისკუსიის მიზნით ქართველოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმისა და სესიების მოწყობა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2-3 წელიწადში ერთხელ	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
III. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლამდელ დაწესებულებებში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში			
1. სკოლამდელი დაწესებულებების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ქართული მეტყველების განვითარების პროგრამების შედგენა	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ს/კ ინსტიტუტი, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტი	1989 წ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
2. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის შესაბამისი ლიტერატურის, ოვალსაჩინო მასალის მომზადება ქართულ ენაზე	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ს/კ ინსტიტუტი, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტი	1990-91 წწ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
3. პედაგოგიური ინსტიტუტებისა და საშუალო-სპეციალური სასწავლებლების სკოლამდელი აღზრდის სპეციალობისათვის ქართული ენის სასწავლო პროგრამებისა და გეგმების გადამუშავება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტი, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ს/კ ინსტიტუტი	1989-90 წწ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
4. ქართული მეტყველების კულტურის ამაღლების მიზნით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელთა და მეთოდისტთა ატესტაციის ჩატარება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1990 წ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
5. რესპუბლიკის საშუალო სკოლებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამების შედგენა	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, რესპუბლიკის შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლების კათედრები, საქართველოს მწერალთა კავშირი, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიისა და არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტები	1989 წ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
6. ახალი პროგრამების შესაბამისად ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენა	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, რესპუბლიკის შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლების კათედრები, საქართველოს მწერალთა კავშირი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიისა და არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტები	1992-93 წწ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
7. ენათა სწავლების საკითხების მომწესრიგებელი საკოორდინაციო სამსახურის შექმნა აღზრდისა და სწავლა-განათლების სისტემაში	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1989 წ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
8. საგნობრივ-ილუსტრირებული ლექსიკონების შედგენა	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1989-90 წწ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
9. რესპუბლიკის საშუალო და უმაღლესი სკოლების ყველა დისციპლინაში მაღალ მეცნიერულ დონეზე ქართულენოვანი ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნა	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, რესპუბლიკის შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლების კათედრები, საქართველოს მწერალთა კავშირი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიისა და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტები	1989-93 წ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
10. წინადადებების შემუშავება რესპუბლიკის არაქართულ (რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ) სკოლებში ქართული ენის სავალდებულო წესით სწავლების შემოღების შესაძლებლობის შესახებ	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1989 წლის პირველი ნახევარი	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
11. I-XI კლასებში ქართული ენის ეტაპობრივი სწავლებისათვის ერთიანი გეგმის შემუშავება (მართლწერა და მეტყველება, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკის საკითხები, ქართული ენის პრაქტიკული ტექსტებიანი საკითხები, ქართული ლექსიკოლოგიის ძირითადი საკითხები.).	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, რესპუბლიკის შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლების კათედრები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი	1990 წ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
12. კლასგარეშე საკითხავი კრებულების (ქრესტომათიების), თვალსაჩინო მასალების (პალეოგრაფიული ალბომების, ქართული ხელოვნების ნიმუშების ფოტორეპროდუქციების, ქართული გრამატიკის ტაბულების, პლაკატების) მომზადება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1989-93 წწ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
13. წინადადებების შემუშავება საშუალო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფების 10-15 მოსწავლით დაკომპლექტების შესახებ	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1989 წ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
14. რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ქართული მეტყველების კულტურის კათედრების ჩამოყალიბება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1989 წლიდან	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
15. უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული პროფილის ფაკულტეტებზე შემსვლელი აბიტურიენტებისათვის ზეპირი გამოცდის აღდგენა ქართულ ენასა და ლიტერატურაში; რუსული, სომხური, აზერბაიჯანული სექტორის აბიტურიენტებისათვის მისაღები გამოცდების წინ გასაუბრების შემოღება ქართულ ენასა და ლიტერატურაში	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1989 წ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
16. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენისა და ლიტერატურის, აფხაზური ენისა და ლიტერატურის, ოსური ენისა და ლიტერატურის, სომხური ენისა და ლიტერატურის, აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე ქართული ენის თეორიული და პრაქტიკული კურსების შემოღება.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1989 წ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
17. საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის ფაკულტეტებზე სინქრონული თარგმნის კურსების (ქართულ-რუსული, ქართულ-ინგლისური, ქართულ-გერმანული, ქართულ-ფრანგული, ქართულ-ესპანური) შექმნა.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1989-1993 წწ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
18. რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლაში, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტების შექმნა	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტები, საქართველოს მწერალთა კავშირი	1988-1995 წწ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
19. სასკოლო თარგმნითი ლექსიკონების მომზადება:			
ა) ქართულ-რუსული	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი	1988-1995 წწ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
ბ) რუსულ-ქართული			
გ) ქართულ-აფხაზური			
დ) აფხაზურ-ქართული			
ე) ქართულ-ოსური			
ვ) ოსურ-ქართული			
ზ) ქართულ-აფხაზური სასაუბროები			
თ) ქართულ-ოსური სასაუბროები			
20. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სკოლებისა და ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფებისადმი ქმედითი დახმარება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო,	სისტემატურად	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
IV. ტელევიზია და კინემატოგრაფია			
1. საქართველოს ტელევიზიის რუსულენოვანი გადაცემების (მიმოხილვების, საუბრების, მხატვრული ფილმების) ქართულ ენაზე გასახმოვანებლად საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, დამატებითი საშტატო ერთეულისა და სამონორარო თანხის გამოყოფა	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი	1989-90 წწ.	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
2. რუსულ და უცხო ენებზე გახმოვანებული კინოფილმებისათვის ქართულენოვანი სუბტიტრების შესაქმნელად კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება-გაფართოება	საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, რესპუბლიკის მომარაგების მთავარი სამმართველო, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო	1989-90 წწ.	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
V. პრესა			
1. რესპუბლიკურ პრესაში ქართული ენის, ლიტერატურისა და კულტურის საკითხების გაშუქება	რესპუბლიკური გაზეთები	სისტემატურად	საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი
2. რესპუბლიკურ გაზეთებში სპეციალური რუბრიკის შემოღება, რომელშიც გამოქვეყნდება მასალები ქართული ენის ისტორიის, თანამედროვე პირობებში ფუნქციონირებისა და ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის შესახებ	რესპუბლიკური გაზეთები	1988 წ.	— „ —
VI. კავშირგაბმულობა			
1. რესპუბლიკის სატელეგრაფო ქსელის ქართულ-შრიფტიანი აპარატებით უზრუნველყოფა	თბილისის სკკპ 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო	XIII ხუთწლედი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
2. სატელეფონო ქსელის აბონენტთა სიის გამოცემა ქართულ ენაზე	საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა	1989 წ.	საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო
VII. ტექნიკური აღჭურვილობა და თვალსაჩინოება			
1. რესპუბლიკის საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების აღჭურვა ქართულენოვანი ელექტრონული გამომთვლელი მანქანებით	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტი	სისტემატურად	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, სახალხო განათლების სამინისტრო
2. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერებისა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტების აღჭურვა ქართულენოვანი პერსონალური ელექტრონული გამომთვლელი მანქანებით	საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია	1989-90 წწ.	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
3. პერსონალური ელექტრონული გამომთვლელი კომპლექსის საცდელი ნიმუშის ქართული შრიფტით უზრუნველყოფა	გამოყენებითი ავტომატიზებული სისტემების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი	1989 წ.	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
4. ქართული შრიფტის ცენტრალიზებული წარმოება და მისი გამართვა საბეჭდ მანქანებზე	საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ გამსახკომი, საქართველოს სსრ კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სამინისტრო, თბილისის სარემონტო-მექანიკური ქარხანა	1989 წ.	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
5. საქართველოს სსრ სასკოლო ატლასის მომზადება და გამოცემა ქართულ ენაზე	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ქარტოგრაფიული ფაბრიკა, საქართველოს სსრ გამსახკომი	1989-90 წწ.	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
6. საქართველოს სსრ ატლასის მომზადება და გამოცემა ქართულ ენაზე	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ქარტოგრაფიული ფაბრიკა, საქართველოს სსრ გამსახკომი	1989-1996 წწ.	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
7. სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის ქართულენოვანი რუკების მომზადება და გამოცემა:			
ა) ისტორიული	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტები, ქარტოგრაფიული ფაბრიკა	1990-91 წწ.	— „ —
ბ) ფიზიკური			
გ) პოლიტიკური			
დ) დემოგრაფიული			
ე) ეკოლოგიური			
ვ) ლინგვისტური			
8. გლობუსის მომზადება და გამოცემა ქართულ ენაზე	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ქარტოგრაფიული ფაბრიკა	1989-90 წწ.	— „ —
9. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი ატლასის მომზადება და გამოცემა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ქარტოგრაფიული ფაბრიკა	1990-95 წწ.	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
VIII. საგამომცემლო საქმე			
1. ქართული ენის აკადემიური კურსის დამუშავება-გამოცემა (მრავალტომეული)	გამომცემლობა „მეცნიერება“	1988-2000 წწ.	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
2. ენციკლოპედიური ცნობარის „ქართული ენა“ გამოცემა	ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ გამსახკომი	1995-97 წწ.	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
3. სამეცნიერო ტერმინოლოგიური ლექსიკონების გამოცემა:	გამომცემლობა „მეცნიერება“, საქართველოს სსრ გამსახკომი		საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
ა) მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი		1990-92 წწ.	საქართველოს სსრ
ბ) ეკონომიკური ტერმინების ლექსიკონი		1992-94 წწ.	გამსახკომი
4. ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონის გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1992-94 წწ.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ გამსახკომი.
5. სასკოლო თარგმნითი ლექსიკონების გამოცემა:	გამომცემლობები „განათლება“, „ალაშარა“	1995-98 წწ.	

(დასასრული მე-4 გვ.).

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა

(დასასრული)

საკითხი	შემსრულებელი	შესრულების ვადა	კონტროლი
ა) ქართულ-რუსული ბ) რუსულ-ქართული გ) ქართულ-აფხაზური დ) აფხაზურ-ქართული ე) ქართულ-აფხაზური სახაუბროები			
6. დიალექტოლოგიური ლექსიკონების გამოცემა:	გამომცემლობები „მეცნიერება“, „განათლება“		საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ გამსახკომი
ა) ხევსურული		1990-92 წწ.	
ბ) ფშაური		1992-94 წწ.	
გ) გურული		1992-94 წწ.	
დ) ინგილოური		1989-91 წწ.	
7. სკოლამდელი დაწესებულებების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის შეტყველების განვითარების პროგრამების გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1990 წ.	საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ გამსახკომი
8. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის შესაბამისი ლიტერატურისა და თვალსაჩინო მასალის გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1991-1993 წწ.	— „ —
9. ახალი პროგრამების შესაბამისად ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელობების გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	სისტემატურად	— „ —
10. საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის ყველა დისციპლინაში მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე ორიგინალური სახელმძღვანელოების გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	სისტემატურად	— „ —
11. კლასგარეშე საკითხავი კრებულების (ქრესტომათიების), თვალსაჩინო მასალების (პალეოგრაფიული ალბომების, ქართული ხელოვნების ნიმუშების ფოტორეპროდუქციების, ქართული ენის გრამატიკის ტაბულების, პლაკატების) გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	სისტემატურად	საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ გამსახკომი
12. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ორტომეულის გამოცემა (ხელმოწერით)	გამომცემლობა „განათლება“	1989-1990 წწ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
13. პირთა ანტიკრებული ლექსიკონის რვატომეულის გამოცემა (ხელმოწერით)	გამომცემლობა „მეცნიერება“	1989-1999 წწ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
14. ვ. თოფურიას და ი. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1989-1991 წწ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
15. ს. ჯაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1990-1991 წწ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
16. სულხან-საბა ორბელიანის გამოკრებული ლექსიკონის გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1990-1991 წწ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
17. ს. ხუნდაძის „ქართული სტენოგრაფიული ლექსიკონის“ გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1990-1991 წწ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
18. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა (ერთტომეული)	ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო redakcia	1990-1991 წწ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
19. თ. თოდუას „რუსულ-ქართული სახაუბროს“ გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1990 წ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
20. ც. ბეგლარიშვილისა და სხვ. „მოკლე გერმანულ-ქართული ლექსიკონის“ გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1990-1991 წწ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
21. ე. ოქროპირიძის „ქართულ-ფრანგული ლექსიკონის“ გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1991-1992 წწ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
22. რ. გორგაძის „ქართულ-სომხური ლექსიკონის“ გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1992-1994 წწ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
23. რ. გორგაძის „სომხურ-ქართული ლექსიკონის“ გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1992-1994 წწ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
24. ა. მუსაევისა და ვ. ჯანგიძის „აზერბაიჯანულ-ქართული ლექსიკონის“ გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1992-1994 წწ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
25. ვ. ჯანგიძისა და ნ. ნახიბოვის „ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონის“ გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1993-1994 წწ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
26. ბ. ჩინჩალაძისა და გ. ჩობანოვის „აზერბაიჯანული სახაუბროს“ გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1990 წ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
27. რ. გორგაძისა და ვ. პოლოსიანის „სომხურ-ქართული სახაუბროს“ გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1990 წ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
28. ნ. ჯანგიას, ბ. ჩინჩალაძისა და ა. მუსაევის „ქართულ-აზერბაიჯანული სახაუბროს“ გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1990 წ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
29. კ. კრასნინისა და შ. თოდუას რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული სახაუბროების გამოცემა	გამომცემლობა „განათლება“	1991 წ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
30. ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის გამოცემა (ოცტომეული)	გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“	1989-1999 წწ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
31. ქართული ენის თვითმასწავლებლის მასობრივი ტირაჟით გამოცემა	საქართველოს სსრ გამსახკომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი	1989-1990 წწ.	საქართველოს სსრ გამსახკომი
32. ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებების გამოცემა	საქართველოს სსრ გამსახკომი, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი	სისტემატურად	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
33. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა და პოპულარიზაცია პრესის, რადიოს, ტელევიზიის, კინოს, თეატრის, სხვადასხვა კონკურსების მეშვეობით	შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქ. სსრ გამსახკომი, საქართველოს სსრ მწერალთა, კინემატოგრაფისტთა, თეატრალური კავშირები, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახ. კომიტეტი და რუსთაველის სახ-ბა, ფირმა „მელოდია“	სისტემატურად	შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
34. ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე შექმნილი ნაშრომების ტირაჟის დადგენა შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებებისა და გამომცემლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით	საქართველოს სსრ გამსახკომი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო	სისტემატურად	საქართველოს სსრ. კულტურის სამინისტრო
35. რესპუბლიკის ბიბლიოთეკების მაქსიმალურად მობილიზება ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე შექმნილი ლიტერატურით	საქართველოს სსრ გამსახკომი	სისტემატურად	საქართველოს სსრ გამსახკომი
36. მსოფლიოს ხალხთა ენებზე ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ საცნობარო პოპულარული ბროშურებისა და ლექსიკონების გამოქვეყნება			
37. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ბაზაზე ქართული ენისა და ლიტერატურის რედაქციის შექმნა	საქართველოს სსრ გამსახკომი	1989 წ.	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
38. ქართულ ენაზე ყველა სახის ბლოკნოტის, კალენდრისა და მისალიფი ბარათის მასობრივი ტირაჟით გამოცემა	საქართველოს სსრ გამსახკომი	სისტემატურად	საქართველოს სსრ გამსახკომი

გაზეთ „კომუნისტის“ redakcia თხოვს მკითხველებს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, შენიშვნები, წინადადებები სახელმწიფო პროგრამის პროექტის თაობაზე,
ჩვენი მისამართი: 380098, თბილისი, ლენინის ქ. № 14, გაზეთ „კომუნისტის“ redakcia.

ტკივილით და სიხარულით გავლილი...

— ორმოცდაათს ცოტა ხომ არ აკლია?

— (ღიმება) ნეტა ასე იყოს...

— კეთილი! მჯერა, ოღონდ, მე რამდენადაც ვიცი, „ქაჯანა“ 1941 წელს გამოვიდა ეკრანებზე...

— დიახ, მაგრამ ოცდათვრამეტში, სწორედ ამ დროს მიმნია სულნათელმა კონსტანტინე პიპინაშვილმა „ქაჯანაში“ კატოს როლზე და სასინჯი გადაღებები დაიწყო, საერთოდ, ფილმზე მუშაობა კარგა ხანს გაგრძელდა, ასე რომ, ჩემდა სამწუხაროდ, ორმოცდაათი გამოდგა...

— არ გეტყობათ წლები, ქალბატონო ლეილა, და უნებლიედ იმიტომაც ჩაგეძიეთ...

— დიდი მადლობა... რა სჯობს ქათინაურს...

— ალბათ, ხშირად მოგნატრებიათ ის წლები, ბავშვობის დღეები...

— ცხადია... ზოგჯერ ვიფიქრებ: ნეტა კვლავ წმინდა გიორგის ხატთან ვიდგე მუხლმოდრეკილი, „ქაჯანაში“ რომ ვიდექი ისე, და ვეჩურჩულებდი: ღმერთო, ქაჯანას ენის ამოდგმაში დაეხმარე-მეთქი. არ დაგიმალავთ, იმ წუთში, იმასაც ვნატრობდი, კარგი მსახიობი გამოვსულიყავი... მაინც მენატრება... მიუხედავად იმისა, რომ უსიხარულო ბავშვობა მქონდა. ალბ, წარმოიდგინეთ: მამა ოცდაჩვიდმეტში დახვრიტეს და მოგვიანებით მივიღეთ მისი რეაბილიტაციის ქაღალდი, დედა გადაასახლეს და ათი წელინადი გაატარა მაგადანზე, როგორც იქნა ჩამოაღწია და მოგვიყარა თავი ნათესავებში გაბნეულ სამ შვილს... სახლ-კარი აღარ გვქონდა, კატოს როლში აღებული პონორარით ერთი თორმეტკვადრატულმეტრიანი ოთახი ვიყიდეთ ვერაზე და ვცხოვრობდით ასე... რა დამავიწყებს: ფილმზე მუშაობისას და შემდეგაც — დედის დაბრუნებამდე, სითბო და ყურადღება არ დაუკლიათ ჩემთვის ნატო ვაჩნაძესა და სპარტაკ ბაღაშვილს...

— მერე ხომ თანდათან გამოკეთდა საქმე...

—უსაშველო ჩვენს მტერს ჰქონდეს... მერე თეატრალურ ინსტიტუტში შევედი სამსახიობო ფაკულტეტზე, შესანიშნავი, გამორჩეული კურსი იყო... რა მეგობრობა გვქონდა?..

— თქვენ მერე რატომღაც თეატრში აღარ გააგრძელეთ მოღვაწეობა...

— უკვე მქონდა კინოში რამდენიმე როლი ნათამაშევი და ვეღარ გავუძელი ცდუნებას... ახლა, ხანში რომ შევედი, ყველა ჩემი როლის მიმართ პრეტენზიები გამიჩნდა, კატოს გარდა... კატოს ვერ შევეღეავი... თეატრი, სცენა სხვა საქმეა, ყოველ გამოსვლაზე ახალ-ახალ მტრის მატები ამა თუ იმ სახეს... შესაძლებლობა რომ მომეცეს, დარჩენილ სიცოცხლეს ერთიანად სცენას (ოღონდ კინოსაც) მოვახმარდი...

— რა სჯობს, თუ ამაზე რომელიმე თეატრი იფიქრებს. ისე, ჩემი ახრით, ნიჭი და უნარი თქვენ. სრულფასოვნად ვერ მოახმარეთ ქართულ კინემატოგრაფს. ეს ქათინაური ნუღარ გეგონებათ: ლეილა აბაშიძისთანა კინომსახიობებით ჩვენ განებივრებულნი არა ვართ, ჰოდა, იმის მაგივრად, რომ თქვენთვის სპეციალურად შეექმნათ სცენარები, რამდენადაც ვიცი, კარგა ხანია სერიოზული სამუშაო არ გქონიათ...

— მქონდა, როგორ არა, აი, თუნდაც ფილმი, რომელიც მე თვითონ დაედგი „თბილისი — პარიზი — თბილისი“.

— გეთანხმებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ფილმი ის არ იყო, რასაც ლეილა აბაშიძისგან ველით...

— რას იზამთ, ურთულესია პროფესია — რეჟისორი, თანაც თუ შენივე ფილმში მონაწილეობ, როგორც მსახიობი... სხვათა შორის, იმ „უსაქმურობის“ დროს ჩემთვის რაღაცეებს ენერდი... აი, რამდენიმე ლექსი აქაც ნამოვიღე, რა ვიცი...

— აბა, მანახვეთ, თუ შეიძლება?

— არა, არა, მე თვითონ ნაგიკითხავთ!..

— კი, ბატონო...

— „როგინდ ნაღდად-ნაღდი
გერქვას,
მწარე ნამს თუ ნაანყდი,
წარამარა გაგაანამებს,
ბედისწერის ტაატი“...

ანდა, ეს ნახეთ:

„ისევ ქარმა ნაგილო და
სულმიც. ქარი ქროდა,
ჩემს თითებს კი შენი თმების
სურნელება ჰქონდა“...

ამ ლექსზე სიმღერაც არის შექმნილი, თუ გახსოვთ...

— კი, როგორ არა.. დაბეჭდავთ თუ გიფიქრიათ ლექსების?

— არა, ეს ისე, ჩემ ქიას ვახარებ...

— მოდით ისევ კინოს დავუბრუნდეთ... ლანა ღოლობერიძის „ორომტრიალში“, | რომელსაც ახლახან უჩვენებდნენ ეკრანებზე, მართლაც რომ გაიბრწყინა თქვენმა ოსტატობამ...

— ეგ საკითხვაია... ისე მე დიდი მადლობელი ვარ ქალბატონ ლანასი, რომელმაც თითქოს ავტობიოგრაფიული როლიც კი მთამაშა: ფილმის გმირივით — მსახიობ მანანა იაშვილივით მეც ხომ მივინყებული, „ჩამოწერილი“ ვიყავი, ხალისით დაეთანხმდი მინვევას, ერდგან, სხვა რომ არაფერი, როლი მართლაც ჩემ ხასიათში „იჯდა“... მანანა იაშვილმა ბევრი გასცა ადამიანებისთვის, სამაგიეროდ კი ვერაფერი მიიღო, ხელმოცარული, ბავშვურად გულუბრყვილო დარჩა...

— სიყვარული ხომ მიიღო, ხალხის სიყვარული, განა ეს ცოტაა?..

— ეს ყველაფერია, ყოველი მსახიობის ოცნებაა...

... ჩვენ რედაქციაში ვსაუბრობდით, გარეთ გვიანი შემოდგომის დღე მოქუფრულიყო, ნიმამა აპირებდა.

ვ. მარდალეიშვილი.

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

პრეტენდენტმა შეამცირა ქულათა სხვაობა

ის, ვინც ელოდა, რომ მეთხუთმეტე პარტია სწრაფი ყაიმით დამთავრდებოდა, აშკარად მოტყუდება. პრეტენდენტმა გადაწყვიტა შეუთავარი ბრძოლა გაემართა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონისათვის და ეს შეხვედრა, შეიძლება ითქვას, ძალზე თამამდევრულად წარიმართა.

ამკვრად შეგვხვდა სიცილიური დაცვის იგივე ვარიანტი, რაც მეთორთეტე პარტიაში, რომელიც როგორც გახსოვთ, ჩიბურდანიძემ მოიგო. თეთრებს ფრთაზე გამოპყავთ თეთრტყვრიანი კუ და პარტიის ადრეული სტადიაში ცდილობენ პაიკებით იერიშის დაწყებას შავი მეფის წინააღმდეგ. მაგრამ თუ იმ ადრინდელ პარტიაში იოსელიანი შეფერხდა და თეთრებს იერიში მართლაც წარმატებით დაგვიგვიანდა, ახლა მოგლენები სულ სხვანაირად განვითარდა.

დაძრეს თუ არა წინ თეთრებმა თავისი ძალები, პრეტენდენტმა ლაზიერის ფრთაზე სამასუხო იერიში წამოიწყო. იგი სამმაოდ ძალიან კარგად იყო მომზადებული. ამ უბანზე იოსელიანი ტლეთ ღია ხახსაც დაეუფლა და მეტოქეს ბანაკში შეპრასაც იმუქრებოდა.

მწვავე პოზიციაში ჩიბურდანიძე ვალდებული იყო გაეხსნა თამაში მეფის ფრთაზე, მან კი მეტოქეს ამ ფრთის ჩაკეტვის საშუალება მისცა. მართალია, თეთრი პაიკები ამ ფრთაზე მეტოქეს ძალებს „ხუთთვდნენ“, მაგრამ პირდაპირი შეტევის გაგრძელება შეუძლებელი აღმოჩნდა. ამასობაში იოსელიანს ინიციატივა ლაზიერის ფრთაზეც ჰქონდა და ცენტრშიც. 25-ე სვლაზე პრეტენდენტმა ისარგებლა თეთრების შეცდომით და არცთუ ისე რთული ტაქტიკური დარტყმით მოიგო პაიკი. ბომდევნო სვლებით მან მეტოქის ბანაკში ეტლი და ლაზიერი გადაისროლა. ამასთან გამორიცა, რომ ჩიბურდანიძის მეფის ფრთა არასაკმარისად იყო დაცული. ცხადი გახდა, რომ მაღვების სტრატეგიამ ამ პარტიაში გაიმარჯვა. იოსელიანი იმუქრებოდა ამმოძრავებინა მეოთხე ჰორიზონტალზე მყოფი გამსვლელი პაიკი. ამის წინააღმდეგ კი ჩიბურდანიძეს არ შეეძლო რაიმე ეღონა. რაც შეეხება მეტევის გაგრძელების ცდას მეფის ფრთაზე, არც ამას მოპყავდოდა რაიმე შედეგი, რადგან პრეტენდენტმა ეს ფრთა სიმედოდ დაიცვა.

პარტია გადაიდო. შავების მატერიალური უპირატესობით, რომელიც საყოველთაო აზრით, მოგებისთვის სრულიად საკმარისია.

მეთხუთმეტე პარტია
ჩიბურდანიძე-იოსელიანი
სიციელიური დაცვა

1. e4 c5 2. Øc3 e6 3. Øf3 d6 4. d4 cd 5. Øxd4 Øf6 6. g3 Øc6 7. Øg2 0-0 8. 0-0 a6 9. a4 ¥c7 10. h3 Øc6 11. Øde2 ¥b8 12. g4 b5 13. ab ab 14. Øg3 b4 15. Øce2 ¥b7 16. g5 Ød7 17. f4 ¥a8 18. ¥b1 ¤fc8 19. f5 Øce5 20. Ød4 Øc5 21. f6 ¤f8 22. b3 ¤d8 23. ¥e1 g6 24. ¤f4 ¥b6 25. ¤d1 Øed3 26. cd Øxb3 27. ¤b1 ¥xd4+ 28. Øxg3h2 ¤a3 29. Øe2 ¥b6 30. ¤f3 e5 31. Øe3 ¥a5 32. Øc1 ¥a4 33. h4 d5 34. ¤b6 ¤c8 35. Øxb3 ¤xb3 36. ¤xb3 ¥xb3 37. h5 de 38. ¤h3 ¤c2 39. hg ¤g 40. de ¥a2 41. ¤g3 ¥f7.

ამ პოზიციაში პარტია გადაიდო.

გ. გამრეკელი.

უკანასკნელ საათს

გუშინ მაია ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის მატჩის მეთხუთმეტე, გადადებული პარტია დამთავრდა ნანა იოსელიანის გამარჯვებით, მაია ჩიბურდანიძემ თამაშის განუახლებლად თავი დამარცხებულად ცნო და ახლა ანგარიშია 8:7 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. მატჩის ბოლო, მეთექვსმეტე პარტია არსებული რეგლამენტით უნდა გაიმართოს 8 ნოემბერს.

სპორტის ამბები

ფეხბურთის ამბები

გუშინ მოსკოვში მოეწყო პირველი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის შეხვედრა ადგილობრივ არმიელთა გუნდსა და ლენჩხეთის „გურიას“ შორის. ინგარიშით 5:2 გაიმარჯვეს არმიელებმა.

მას შემდეგ რაც II ლიგის ზონებში გამარჯვებული გუნდების I ლიგაში გადასასვლელი შეჯიბრების მეორე ტურის მატჩები გაიმართა, ჯგუფებში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: „ა“ **ჯგუფი.** კიმინოოვის „ნისტრუ“ და ფერგანის „ნეფტიანეკი“ — 2-2 ქულა, ომსკის „ირტიში“ — 0; „ბ“ **ჯგუფი.** ქუთაისის „ტორპედო“ (მეორე ტურში ნოვოროსიისკის „ცემენტთან“ ფრედ ითამაშა — 1:1) და „ცემენტი“ — 3-3 ქულა, პავლოდარის „ტრაქტორი“ — 0; „გ“ **ჯგუფი.** ვორონეჟის „ფაკელი“ და ჩერეოვეცის „ბუკოვინა“ — 2-2 ქულა, სვერდლოვსკის „ურალმაში“ — 0.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იცით, რომ იტალიის „რომამ“ გაამარტესტა უეფას თასის ბელგრადში მოწყობილი მატჩის შედეგი იუგოსლავიის „პარტიზანთან“ (2:4; „რომის“ კაპიტანს ჯოვანი ჯანინის ტრიბუნედან ლითონის საგანი ესროლეს). ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის სადისციპლინო კომისიამ დაამტკიცა ძალის შედეგი, მაგრამ „პარტიზანი“ დაჯარიმა 10 ათასი შვეიცარიული ფრანკით. გარდა ამისა, „პარტიზანს“ აეკრძალა ევროპის საკუფო თასის გათამაშების მორიგი შეხვედრის მოწყობა საკუთარ მოედანზე. „რომას“ ნება დართეს 3 დღის განმავლობაში გაასაჩიეროს უეფას სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება.

ურუგვაის „ნასიონალმა“ მონტევიდეოში განმეორებითი მატჩი მოუგო არგენტინის „ოლდ ბოიზს“ ანგარიშით 3:0 (პირველი შეხვედრა სტუმრად წაადო — 0:1) და სამხრეთ ამერიკის საკუფო გენდგბს შორის „ლიბერტადორესის“ თასს დაეუფლა. ახლა „ნასიონალი“ საკონტინენტთაშორისო თასისათვის შეხვედება ჰოლანდიის „ეინდჰოვენს“, რომელიც გასულ წელს ევროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა. ეს მატჩი გაიმართება დეკემბერს ტოკიოში.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ქან ფურე-ფაიარმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნულია 33 წლის სახელგათქმული ფეხბურთელი მიშელ პლატინი.

კალათბურთის ფარგებთან

გუშინ თბილისში გაიმართა რადიოვე კორაბის სახელობის თასის გათამაშების პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩი თბილისის „დინამოს“ და სპერანდეთის ქალაქ პირეის „ოლიმპიაკოსს“ კალათბურთელ ვაკთა გუნდებს შორის. თასის გათამაშების ამ საწყისი ეტაპის შეხვედრა მოიგეს ბერძნებმა — 96:75. (52:34).

ეროპი ღღით ადრე კი კალათბურთელი ვაკეები თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ჩაებნენ. კაუნასში ადგილობრივი „ეკალარიანი“ შეხედა ბრიუსელის (ბელგია) „მაკაბის“. მასპინძლებმა ეს მატჩი ალმავლობით წარმართეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 108:71 (52:31).

მოკლედ

საქართველოს თავისუფალი სტილის ხოკეიდავეებმა რომ ახლახან ლიპეცკში გუნდური გამარჯვება მოიპოვეს და საბჭოთა კავშირის თასს დაეუფლნენ, უკვე ყველამ იცის. ამას, იმასაც დავუმატებთ, რომ პირად ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის მოკიდავეთაგან უძლიერესთა წოდებები მოიპოვეს თბილისელმა ზურაბ ტატუაშვილმა, მამუკა რახმანაძემ და სოხუმელმა ეგია მუსოიანმა.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ახალი გაზეთი

● **1989 წლის** იანვრიდან გამოდა „მთავრობის მაცნე“ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ორგანო. გაზეთი რეგულარულად მიაწოდებს ინფორმაციას საზოგადოებრიობას მთავრობის საქმიანობის შესახებ, განიხილავს გარდაქმნის პასუხსაგებ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს. ახალი გამოცემის ყურადღების ცენტრშია საკითხები, რომლებიც დღეს აღელვებს ყველა ადამიანს — ფასწარმოქმნა და სამეურნეო ანგარიში, ქვეყნის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ეკონომიკური განვითარების გზაზე მდგომი პრობლემები და გადაწყვეტები. გაზეთის ავტორთა შორის არიან სახელმწიფო მოღვაწენი, წამყვანი მეცნიერები და სპეციალისტები, სამეურნეო ხელმძღვანელები.

„მთავრობის მაცნე“ გამოვა ორ კვირაში ერთხელ. ნომრის ფასია 15 კაპ. ერთი წლით ხელმოწერის ღირებულება 3 მან. და 90 კაპ. ინდექსი — 50105. ორგანიზაციების, დაწესებულებების, სანარმოებისა და მოქალაქეებისათვის „მთავრობის მაცნეზე“ ხელმოწერა იწარმოებს 1988 წლის 30 ნოემბრამდე. გაზეთი ცალკეთიც გაიყიდება.

პოეტის ახალი კრებული

● **გამომცემლობა** „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა სტეფანე მხარგრძელის ლექსებისა და პოემების წიგნი „ეიდრე ხარ“, მასში შევიდა ნაწარმოებები, რომლებიც ავტორმა შექმნა თავისი შემოქმედებითი შრომის თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე.

დაწყებული პირველი ლექსით „იაკობ ჯუღაშვილს“, 17 წლისამ ომის პირველ წელსვე გაზეთ „კომუნისტში“ რომ დაბეჭდა, ვიდრე „თმაშეკრცხლილი პოეტის ამაკამინდელ მოზრდილ კრებულამდე, ავტორი ერთგულია ხალხთა მეგობრობის, სიყვარულის, გმირული შრომისა და ბრძოლის, სახელგანთქმულ მამულიშვილთა დიდების მარადიული თემებისა.

კრებულში შევიდა „აგრეთვე საკოლმეურნეო ცხოვრების ამსახველი პოემები „გარდამავალი დროშა“, „ზოლოდინი“ და პოემა ისტორიულ თემაზე „ბულბულა“, თავის დროზე ლიტერატურულ პრესაში რომ გამოქვეყნდა და დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას.

მკითხველი ამ ახალი პოეტური კრებულით საინტერესო შემოქმედს გაიცნობა.

ეძღვნება გმირს

● **ამიერკავკასიის** ნითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ისტორიის მუზეუმში გახსნილი ახალი ექსპოზიცია პირველებმა დათვალიერეს იმ საგაიციო ქვეგანაყოფის მეომრებმა, რომელსაც ავღანეთში სამსახურამდე მეთაურობდა ოფიცერი ი. ფილიუშინი. დარბაზში „სოციალიზმის დაცვა — ხალხის ინტერნაციონალური მოვალეობაა“ წარმოდგენილია სტენდები, რომლებიც ეძღვნება ლენინის ორდენის კავალერის, ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ მეომრის ხსოვნას.

გმირის ხსოვნის უკვდავყოფის იდეა საოლქო მუზეუმის თანამშრომლებს მას შემდეგ დაებადათ, რაც საგაიციო ქვეგანაყოფს ეწვივნენ. ი. კეზერაშვილმა, ო. ტიხომიროვამ, ს. არუთინოვმა, მფრინავის თანაპოლკელებმა, ნათესავებთან ერთად შეკრიბეს მასალები და ახლა სტენდი მოგვითხრობს ოფიცრის გმირობაზე, აქვე წარმოდგენილია ინტერნაციონალისტის პირადი ნივთები და საბრძოლო ორდენები, დოკუმენტები და ფოტოსურათები.

ახლა მეუზეუმში აფარეოებენ ამ ექსპოზიციას — აგრეთვენ მასალებს იმათზე, ვინც ი. ფილიუშინთან ერთად ასრულებდა საბრძოლო დავალებებს ავღანეთის ცაში.

რუბრიკისათვის ინფორმაციას გამოყენებულია საკავშირო და „კომუნისტის“ კორესპონდენტთა მასალები.

ტელევიზია — ხუთშაბათი, 3 ნოემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 12.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცხელი არდადეგები“. 13.00—დოკუმენტური ფილმი. 13.45—მოსწავლეთათვის. ბიოლოგია. 14.15—„ათლეტიზმი“. 14.45 — ატლეტიკისათვის. ქიმია. 15.15 — საინფორმაციო გადაშვება (რუსულ ენაზე). 15.25 — ატლეტიკისათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურა ში. 15.50 — მხატვრული ფილმი „ლურჯი რვეული“. 17.20 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 17.55 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 18.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — მოსკოვის „ტორპედო“. 20.15 — მოამბე. 20.45 — კონცერტი. 21.10 — XIX საკავშირო პარტოფერენცია. „გარდაქმნის რეალიზმი — „სკოლა და გარდაქმნა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — სპორტული პროგრამა.

მეორე პროგრამა. 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.00 — მასწავლებლის საათი. რუსული ენა. 18.30 — საკავშირო ლენინური კომკავშირის 70 წლისთავისათვის. მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „რევოლუციის შობილი“. V სერია. 20.00 — მოამბე. 20.45 — მრავალსერიანი ანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „რევოლუციის შობილი“. VI სერია.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — ა. ზურაბოვი „ავოს მონოლოგი“. სატელევიზიო ფილმ-სპექტაკლი. I სერია. 10.45 — საბავშვო სმიღერის ფესტივალი ქალაქ ზელენა გურაში. 11.45 — ახალი ამბები. 11.55 — ცხოველთა სამყაროში. 16.30 — ახალი ამბები. 16.45 — დოკუმენტური ფილმი „მიეცით ლაზერს სამუშაო!“. 17.05 — მუსიკალური საუნჯე. გ. სვირიდოვი — „პათეტიკური ორატორია სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის ვ. მაიაკოვსკის სიტყვებზე“. 17.40 — ახალი ამბები. 17.45 — „განთიადისას ალმოცენებული“. დოკუმენტური ტელეფილმი კიევის ისტორიულ წარსულზე. 18.15 — „...თქვენმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 19.00 — XIX პარტკონფერენციის კურსით. ანგარიშგება-არჩევნები. მეორე გადაცემა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.05 — ადამიანი და კანონი. 20.35 — სატელევიზიო ფილმ-სპექტაკლი „კამოს მონოლოგი“. მეორე სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — სიმღერა-88. 0.35 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — ფილის ვარჯიში. 9.15 და 9.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 და 10.45 — ჩვენი გარემომცველი სამყარო. II კლასი. 10.10 და 12.05 — ესპანური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ზოგადი ბიოლოგია. 11.35 და 12.35 — ბიოლოგია. VII კლასი. 13.05 — მხატვრული ფილმი „პაემანი ირმის ნახტომზე“. 14.30 — უფროსები და ბავშვები. დოკუმენტური ტელეფილმ ებ ი. 15.10 — ახალი ამბები. 15.15 — „განმეორებითი ტელეფილმის დღის სეანსი. „სიმამაცე“. VII სერია. 19.00—ახალი ამბები. 19.10—სოფლის საათი. 20.10 — დოკუმენტური ტელეფილმი „ვიეტნამი. დრაკონის ნელი“. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — ვ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები 6. ტრული (ფორტეპიანო). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტ ტ ო რ ი. 22.50 — მხატვრული ფილმი „ოდუმალი პატიმარი“. 0.20 — ახალი ამბები. 0.30 — ფიგურული სრნაული. წყვილები. თავისუფალი პროგრამა.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05584 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზაზოვის ზეთისელ დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29 1